№ 173

1877—1900

№ 173

ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1900 წ.

# ივერია

ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., შემდეგზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ფოთის საბუღალტერო კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—ნ.—14)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—11) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ინჟინერი

კისრულობს ტეხნიკურ პროექტების, შენობების და კანალიზაციის გეგმების შედგენას და შენების დროს ზედამხედველობას. მინკვიცევის (წინანდელი პირველი თუმანოვის) ქუჩა № 13. მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (3—150—2)

## ბორჯომში

12 აგვისტოს, 1900 წელს, სამკურნალო წყლების სასეირნო ბაღში, შეუძლებელ სტუდენტთა სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა და საცეკვაო

## საღამო

ბაღი გაჩირაღდნებული და მორთული იქნება. სეირნობა საღამოს 5 საათზედ დაიწყობა, ცეკვა—9 საათზედ.

ბილეთი ჰღირს: მანდილოსნებისათვის—1 მანეთი, მამაკაცებისათვის 2 მანეთი, ხოლო სტუდენტებისათვის 50 კაპ.

მარტო ბაღში შესვლა მოზრდილთათვის 50 კაპ. ჰღირს, ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის—25 კაპ.

საღამოს დიასახლისნი: ე. დ. ასტაფიევისა და კნ. ო. ა. მელიქიშვილისა. (2—უ.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

მ. გ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამედიცინო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

გორის ანასტასიას

## პროგიმნაზიაში

28 და 31 აგვისტოს მოხდება ხელმეორე და მისაღები ეგზამენები, ხოლო 1 სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლა დაიწყობა.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7 წლიდგან, რომელთაც სრულიად არ იციან რუსული ენა და წერა-კითხვა ქართულს ენაზედ. (3—უ.—1)

## ახალი ამბავი

*** იმის გარდა, რომ ზოგიერთა გარედგან შემოსატან საქონელზედ აუწევს ბაჟი, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს მოუმატოს სააქციზო გარდასახადი თამბაქოს, ლუდს, არყეულსა და ღვინოს იმ გუბერნიებში, სადაც ჯერ ღვინის მონოპოლია არ არის შეტანილი.

*** საერო განათლების მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ მოსწავლენი კლასიდგან კლასში გადასასვლელ გამოცდისაგან განთავისუფლებულ იქმნენ, მხოლოდ ვაჟთა და დედათა გიმნაზიების უკანასკნელს კლასებს შეეხებათ, იწერებიან პეტერბურგიდგან.

*** განზრახვა თურმე აქვთ სამკურნალო ფაკულტეტებთან დედათა სამკურნალო კურსები დააარსონ, რომ მსურველთ შეეძლოთ სპეციალური საფარმაცევტო განათლება მიიღონ. იმ დრომდის-კი მეაფთიაქეთა თანაშემწე-ქალებს ნებას თურმე დაჰრთავენ ლექციები პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში მოისმინონ.

*** საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ საშუალო სასწავლებლების უფროსებმა მოსწავლეთა მიერ მეტრიულ სისტემით ზომვისა და წონვის შესწავლას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ეცადნენ მეტრიული სისტემა რუსულს ზომვასა და წონვას შეუფარდონ ხოლმე და ამიცანებით ვარჯიშობის დროსაც რაც შეიძლება მეტი მაგალითები ჰქონდეთ მეტრიულ სისტემიდგან რუსულს საზომავ-საწონავზედ გადატან-გადმოტანისა.

## ფელეტონი

### მოხუცი ზაქარა

(ამბავი)

გათენებამდის კარგა ხანია. ჯერ არც ერთს ფრინველს, არც ერთს სულდგმულს არ გაუღვიძნია, მაგრამ მოხუცი ზაქარა დიდი ხანია, რაც ამდგარა და თავისს საყვარელს ვენახში მიდი-მოდის მწარედ დაფიქრებული. მისს თვალებს წუხელი მთელს ღამეს ცვარი ძილი არ მიჰკარებია. ან-კი რა დააძინებდა საბრალოს, რომელსაც ხვალ ისეთი დღე უნდა გათენებულიყო, რომელსაც მისთვის სასიკვდილო სასიცოცხლო საგანი უნდა გადაეწყვიტა. ხვალ ის დღე იყო, რომელსაც შეეძლო ულუკმოპუროდ დაეტოვებინა იგი და უფრო გაემწარებინა მისთვის ისედაც გამწარებული სიცოცხლე; ხვალ ის დღე იყო, რომელსაც უნდა დაენახვებინა გულწრფელ ზაქარასთვის, რომ არსებობს-ღა კიდევ ქვეყნად სიმართლე პატიოსნება, თუ მთლად გამქრალა და მისი ადგილი შურსა და მტრობას დაუჭერია; ხვალ ის დღე იყო, რომელსაც უნდა გარდაეწყვიტა მომავალი მისის პატარა შვილი-შვილის გიგლასი. აი ეს იყო ზაქარასათვის ყველაზედ მნიშვნელოვანი და გულსაკლავი. ყოველი მისი მოგონება ზაქარას გულში ცეცხლს ანთებდა, რომელიც დაივლიდა მთელს სხეულს, ავარდებოდა თავში და უნებურად სახეს ულმეჭდა, უთრთოლებდა, მწარედ ამოაკვნესებდა და თვალთაგან ორიოდე ცრემლსაც-კი გადმოაგდებინებდა. დიახ, ცრემლს, რომელიც არა ჩვეულებრივი იყო ზაქარას ცხოვრებაში, თუმცა უბედურებისა და ტანჯვის მეტი არა უნახავს რა, რაც თავი ახსოვს.

ბევრი, მეტად ბევრი ტანჯვა გამოიარა მან აქამომდე, მაგრამ მისი ვაჟკაცური გული ყოველივეს მაგრად უხვდებოდა და დარდს არ უტყდებოდა. „დარდი კაცის შემჭმელიაო", იტყოდა ხოლმე ზაქარა, „ვმადლობ უფალსა, რაც მოხდა, მოხდა; ყოველივე მისი ნებაა; მე დარდით ვერას მოვუმატებ, წარსულს საქმეს ველარ გავასწორებ, მხოლოდ მომავლისათვის უნდა ვიზრუნოვო".

ყველას უკვირდა მისი ასეთი სიმაგრე და არა ერთხელ ჰქონიათ მეზობლებს შემდეგი ბაასი:

— სწორედ რკინის კაცია ეს ზაქარა, თორემ ამდენს უბედურებას ხორციელი როგორ გაუძლებს; იტყოდა ერთი.

— დაგელოცა, უფალო, სამართალი, რომ ამისთანა უმანკო კაცს ასე სტანჯავ! დაუმატებდა მეორე. აბა თუ ერთს ვისმეს მოგაგონდებათ მაგისგან ერთი რამე ნაწყენობა.

— არავის, არავის! წამოიძახებდა ყველა.

— საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! ვინ მიხვდება შენს განგებას! პირჯვრის წერით ჩაურთავდა პაპა დემეტრე.

აი ასეთი კაცი იყო მოხუცი ზაქარია და ამ ბოლო ხანებში მისი დაღვრემილი სახე და ხანდახან მალვით ჩამოვარდნილი ცრემლი ყველას აკვირვებდა. „ეტყობა, რაღაც მეტის მეტი უბედურება სწვევია, თორემ ასე მისი დარდიანობა არსად გვინახავსო". მაგრამ საკვირველი არა იყო რა. ის ცეცხლი, რომელიც ზაქარას უტრიალებდა გულში მას შემდეგ, რაც მათ სოფელში მიწის-გამმიჯნავი მივიდა, სხვა უიმისოს მთლად დასწვავდა და გაანადგურებდა, და ზაქარას-კი რომ ორიოდე ცრემლი გადმოვარდნოდა, საკვირველი რა იყო.

საკვირველი ეს-კი არა და, ის იყო, რომ ან ამდენს ხანს როგორ გაუძლო იმ უბედურებათაგან შემდგარს ტალღას, რომელიც აგერ რამდენი ხანია რაც წამოვიდა ზაქარას წასალეკად. ბევრი სცემა ამ ტალღამ მისს ცხოვრების ნავს, ბევრი აკოტავა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, მრავალი ტანჯვა გამოატარა, დაანტვრია კიდეც, მაგრამ პირადად ზაქარას-კი ვერა დააკლო-რა. იგი მაინც გადარჩა ამ ღელვას ცოცხალი ძველებურის მტკიცე ხასიათითა და კლდე გულით...

დადის ზაქარა ვენახში ფიქრებში გართული. ხან-და ხან გაჩერდება, თვალს ერთს ალაგს გაუშტერებს, თითქოს ჰსინჯავს რამესო, მაგრამ მისი გონება-კი ფიქრებს შორს, შორს გაუტაცნიათ და გარეშემო ვერაფერს ვერ ამჩნევს, ვერას ჰხედავს. „ეჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!" წამოიძახა მან სადღაც გაგონილი რუსთველის სიტყვები და მიეცა ისევ ფიქრებს. გაითვალისწინა მთელი თვისი ცხოვრება; მაგრამ ყოველი სურათი, ყოველი ხანა მისის ცხოვრებისა ისე ცხადად ეხატებოდა თვალწინ, თითქო ეს არის ეხლა ხდებაო, და ისეთსავე სიამოვნებასა ან ტანჯვას აგრძნობინებდა, როგორც შესრულების დროს. ყოველს სასიამოვნო მოგონებაზედ სახე უნათლდებოდა, თვალები სიამოვნებით ენთებოდა და ტუჩებზედ ღიმი მოსდიოდა. სამაგიეროდ, ყოველ უბედურების მოგონებაზედ მთელი მისი არსება იტანჯებოდა, იწვებოდა...

მოაგონდა ზაქარას ის დრო, როდესაც იგი შეჰხაროდა საყვარელს ცოლსა და შვილს. უფროსი ვაჟი ილო კიდეც კარგად მოზრდილია და აგერ, აგერ გვერდში ამოუდგება მამას მძიმე ულელის საზიდავად და მერე რაღა უშავს ზაქარას!.. (ამის მოგონებაზედ სახე ულიმს, თუმცა ამას თითონ ვერა ჰგრძნობს). მაგრამ მისი ცხოვრების ჩარხი სულ სხვანაირად დატრიალდა. ერთხელ საკომლო გარდასახადის მოკრეფის დროს, როდესაც ზაქარა შინ არ იყო, ილა ძლიერ გალახა „სტარშინამ" „ურჩობისათვის". ეს „ურჩობა" იმითი გამოიჩინა, რომ მამასახლისმა უთხრა ილას: შენ რომ გოჯი გყავს, ამალამ ვახშ-

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნს მალინინს, რომელიც თვისს გამგებლობის ქვეშე მყოფ საავადმყოფოებს დაათვალიერებს.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოებას უცნობებია გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისათვის, რომ არ შეგვიძლიან ავჭალის ქუჩის ტრამვაი ყორღანოვისა და ალიბეგოვისა მივიყვანოთ.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბოლოოდ უარჰყო აზრი საეროზო ორგანოების შემოღებისა იქ, სადაც ეს ორგანოები არ არსებობს. ამათ მაგივრად ეხლა შეუდგებიან იმ ადგილობრივ დაწესებულებათა გაუმჯობესობის საქმის შესწავლას, რომელთა ხელშიაც ეხლა საეროზო საქმეებია.

*** რადგანაც სამხედრო საჭიროებისათვის შესამჩნევად იმატა ხარჯმა, ფინანსთა სამინისტრო ჰზრუნავს გამოსძებნოს ახალი საშუალებანი სახელმწიფო შემოსავლის გადიდებისა და გასავლის შემცირებისათვის. გარდა სადამოჟნო ტარიფისა და საპასპორტო გარდასახადის მომატებისა, განზრახულია მოუმატონ ზოგიერთს არა პირდაპირს გარდასახადს თვით იმპერიაში. მომავალის 1901 წლის სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს განზრახულია ზოგიერთი ხარჯი შესამჩნევად შეამცირონ ან და სრულებით გააუქმონ დროებით.

*** უწმიდესის სინოდის განმარტებით, იმ შემთხვევებში, როცა რაიმე მიზეზისა გამო საღმრთო სჯულის სწავლებას სახალხო პირველ-დაწყებითს სკოლაში ვერ იკისრებს მახლობელ მრევლის მღვდელი, უნდა მოიძებნოს იმ საქმისათვის უმრევლო მღვდელი ან დიაკვანი. თუ ესეც არ მოხერხდა, შეიძლება ერის კაციც მოიწვიონ, თუ რომ მას სასულიერო განათლება აქვს მიღებული. მაგრამ ამისათვის ყოველთვის ადგილობრივის ეპისკოპოსის ნება-რთვაა საჭირო და ამ გვარ მასწავლებელს არა აქვს უფლება „საღმრთო სჯულის მასწავლებელის წოდებისა“. რაც შეეხება იმ პირებს, რომელთაც სასულიერო განათლება არ მიუღიათ, ამათი მოწვევა საღმრთო სჯულის მასწავლებლად შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულს გარემოებებში და ყოველი ამგვარი შემთხვევა უნდა მოახსენოს ადგილობრივმა ეპისკოპოსმა უწმინდესს სინოდს. ამგვარ შემთხვევების თავიდგან ასაცილებლად უწმიდესმა სინოდმა დაადგინა ეთხოვოს საერო განათლების სამინისტროს, რომ მან ახალი სკოლების გახსნის ნება არ მისცეს მათ, ვისაც საღმრთო სჯულის მასწავლებელი წინდაწინვე არ მოუძებნია.

*** როგორც წყალში განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების წლიურ ანარიშიდგან სჩანს, 1896—1899 წლამდე საზოგადოების მცურავებს 152 კაცი გადაურჩენიათ დარჩობისაგან.

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი, რომლითაც განზრახულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის შტატი გაადიდონ. პროექტს დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ.

*** ჩვენ უკვე ნაუწყები გვქონდა ადრევე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულიაო სამოქალაქო წოდებათა რეორგანიზაციის პროექტი. ეხლა ეს პროექტი დაეგზავნა სხვა უწყებებს, რომ მათ თავისი აზრი გამოსთქვან ამ პროექტის შესახებ და შემოდგომაზედ პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. პროექტის საბოლოო რედაქციის შედგენის დროს, რამდენიმედ შეცვლილ იქმნა წინად განზრახული პროექტი: მაგალითად, ვაჭრების წოდება და მათი ეხლა არსებული მმართველობა უცვლელადა რჩება. ქალაქის მკვიდრთა (მეშჩანების) და ხელოსნების წოდება სრულებით ისპობა, სამაგიეროდ შემოღებულ იქმნება ახალი წოდება „ქალაქის მცხოვრებ“-ისა (сословіе городскихъ обывателей). ეხლანდელს „მეშჩანებსა“ და ხელოსნებს შეეძლებათ მიეწერონ ან ახალს წოდებას, ან და სავლეხო წოდებას. ის ხელოსნები და „მეშჩანები“, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და მიწას ამუშავებენ, სოფლებს მიეწერებიან, მაგრამ მათ შეჰრჩებათ სამემკვიდროდ ზოგიერთი უპირატესობანი, რომლებითაც ხელოსნებისა და მეშჩანების წოდება განირჩევა გლეხებისაგან (მაგალ. „როზგით“ დასჯისაგან თავისუფლდება). რაც შეეხება დაბაში მცხოვრებ ურიებს, რადგანაც ესენი მიწის მუშაობას არ მისდევენ და ამიტომ გლეხებს ვერ მიეწერებიან, ჩარიცხულ იქმნებიან მახლობლად მდებარე ქალაქების „ქალაქის მცხოვრებლებად“. „მეშჩანებისა“ და ხელოსნების წოდე[ბ]ის მოსპობის შემდეგ ამ წოდების ყველა საქმეები და ქონება ქალაქის ხელში გადავა. განზრახული რეფორმა არა ჰსპობს არსებულს საამქრო წეს-წყობილებას: ამქრები ისევ იქმნებიან და შერჩებათ მნიშვნელობა სახელოსნო კორპორაციებისა, რომელთაც უფლება ექმნებათ ფულები გაიწერონ ხელოსნობის განვითარების საქმისათვის.

*** მკითხველებს ეხსომებათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის გარდაწყვეტილება სოფელ გომარეთის სკოლისათვის საკუთარის შენობის აგების შესახებ. გამგეობა უკვე შესდგომია სკოლის შენობის აგებას. ამ ჟამად გამგეობა დაწყებულ შენობის დასათვალიერებლად გომარეთს თავისს წევრს სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ-ნს თაყაიშვილსა ჰგზავნის.

*** „ლოტკის გორის“ მცხოვრებთ (50 კაცმა) ხელ მეორედ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს ზემო და ქვემო ნაძალადევს შუა ხევზედ ხიდი იქმნას გამართული. გამგეობამ ჯერ ისევ წარსულ კვირაში განიხილა „ლოტკის გორის“ მცხოვრებთა პირველი თხოვნა და დაადგინა გადასდოს იქ ხის ხიდის გასამართავად 400 მანეთი.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუცია სამკურნალო დეპარტამენტისა და სათანადო უწყებათათვის მოსალაპარაკებლად ის საგანი, თუ კერძო პრაქტიკით მცხოვრებ მკურნალებს რა გარდაწყვეტილი გასამრჯელო უნდა აძლიონ სამკურნალო დახმარებისათვის.

*** ფოსტა ტელეგრაფის უწყებაში განკარგულება მოუხდენიათ, რომ ამ უწყებაში მსახურთ უმიზეზოდა და აგრე ადვილად არ დაანებონ ხოლმე თავი სამსახურს ერთს ოლქში და მეორეში არ გადვიდნენ.

*** თელავის მაზრის სოფლებში ამ ჟამად საქონლის ჭირია გავრცელებული. კვლისცახესა, მუკუზანსა, შაშიანსა, ვაჩნაძიანსა, კაღაურში და სხვ. ჭირია: როგორც ადგილობრივმა ბეითალმა აცნობა საგუბერნიო ბეითალს დეპეშით, სამი ათას მანეთზედ მეტის დირებულობის საქონელი გაუწყვეტიათ ჯერ. ეხლა გლეხობა აღარ ანებებს საქონელს გასაწყვეტად; ამის გამო ბეითალმა მომეტებული ფული დანიშნა სახაზო დასარიგებლად ნაცვლად დახოცილ საქონლისა. დეპეშითვე სთხოვა ბეითალმა, რომ დროზედ მოაშველონ რამდენიმე ბეითალი მაზრაში გავრცელებულ საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად!...

*** როგორც შევიტყეთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გომარეთის სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ი. ფორაქიშვილს თვისი თანამდებობისათვის თავი დაუნებებია. საზოგადოების გამგეობისათვის რამდენსამე კაცს უკვე უთხოვნია ამ სკოლაში მასწავლებლობა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. თელავი.** წრევანდელმა გამუდმებულმა წვიმებმა, თუმცა ერთის მხრივ ხელი შეუწყეს კარგის ჭირნახულის მოსვლას, მაგრამ მეორეს მხრივ მომეტებულმა სინესტემ ჭვარისამ ბაღ-ვენახებში მიკრო-ორგანული, თვალით უხილავი ცხოველები გაამრავლა, რომელთა წყალობითაც არამც თუ ვენახები ფუჭდება, — სხვილ ხილსაც სიგით არ მოუტანა. ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ჭანჭური, ლეღვი და სხვ. ისეა დაჭკნობებული, რომ ასში სამოცს ძლივს გამოარჩევთ საღსა და უვნებელს. ვაზებზედ მტევნები ისეა დაწურილებული დაფუფუნებული და ნაცრისაგან გათეთრებული, რომ ძნელად თუ ნახევარი შერჩეს ზედ დამწიფებამდის, რადგან დასნეულებული მარცვალი ყოველ დღე ხმება და ასხმით სცვივა.

ნამეტანმა წვიმებმა ახლა ამ ბოლო დროს მეტად ხელი შეუშალა კალოების ლეწვასაც. ამ ჟამად გლეხობა — წვეულებისამებრ სოფლებიდგან დაბლობ-ვენახ-მამულებში ჩამოსახლებული კალოს ლეწავს, მაგრამ ხშირი წვიმები არ აცლიან გალეწვას. ორი დღე რომ დარია, სამაგიეროდ ოთხს დღეს წვიმს.

თითო-ოროლა ვენახს ჯერ ისევ დარჩენილია მოუმკელი, — ავდრისაგან საცოდავად ჩაწვებულ ჩამწვარნი გულსაკლავად გამოიყურებიან, მაგრამ უამინდობისა გამო მომკალი არ სადა სჩანს. გარდა ამისა, გლეხს დიდად აბრკოლებს აგრეთვე ის გარემოება, რომ კახეთში ჯერ არც ერთი სამკალი მანქანა არ მოიპოვება, არც თუ სხვა რამ გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღი. ამიტომ კახელ გლეხს მეტად მძიმედ უჯდება ხვნა-თესვა და მომკა-გალეწვა; ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ კახეთში ნაკლებ მისდევენ ხვნა-თესვას, თუმცა კი აწინდელი აღაზნის ფართო ველები, მრავალგან უსარგებლოდ ბუჩქნარით დაჭერილი, თუ გაუმჯობესებული, ადვილად სამუშაო იარაღები იქმნებოდა შემოღებული, მშვენიერის ყანებით იქმნებოდა აზიზინებული.

ტრ. ინასარიძე

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ქუთაისს ბედი სწყალობს: წრეულს თუმცა ბანკობია არ ეღირსა თავისის სტუმარ-მასპინძლობითა და ზუთხ-ხიზილალით, მისი მაგიერობა ქუთაისელებს ჰიათურის შავის ქვის მწარმოებელთა კრებამ გაუწია. ოჰ, ეს მწარმოებელთა კრება!.. როგორც ყოველს საქმეში, აქაც მრავალნი

---

მაღ ის უნდა დავვიკლაო, და ილამ უარი უთხრა, რადგან იმ ერთის გოჭის მეტი არა ჰყავდათ და საშობაოდ ინახავდნენ.

— მაშ შენ ჩემისანა კაცს ურჩობას უწევ? დაუღრიალა მოხელემ, ამისთვის ციმბირში გადაგასახლებენ. მშივრები ხომ ვერ დავიხოცებით, ჭამა-სმა არ გვინდა?

— აი, ბატონო, ქათამს დაგიკლავთ, ძლივს უპასუხა შეშინებულმა ილამ.

— ქათამი, ქათამი! მომწყინდა ამდენი ქათმის ხორცი, ახლა გოჭი მინდა.

— გოჭს ვერ დავკლავ, მეტი არა გვყავს, წაიტუტუნა ილამ.

— როგორ თუ ვერ დაჰკლავ?! დააკრაჭუნა კბილები მოხელემ და სახეზედ ალმური აუვიდა: ერთი ამას არ უყურეთ... და გაისმა ილას ბეჭებზედ მათრახის ტყლაშატყლუში, რომელსაც არა იშვიათად ხმლის ყუის დარტყმაც მოჰყვებოდა ხოლმე.

ზაქარამ თავისდა უნებურად კბილები დააკრაჭუნა, მუშტები მოკუმშა; მისმა სახემ მრისხანე გამომეტყველება მიიღო და მთელმა სხეულმა ცახცახი დაუწყო, თუმცა ფიქრებში გართული ამას ვერა ჰგრძნობდა.

დალურჯებული ილა ძლივს გააგდებინეს ხელიდგან გამხეცებულს მოხელეს. ჩავარდა ამის შემდეგ ილა ლოგინად და რამდენისამე თვის უკან თქვენი ჭირი წაიღო.

მოაგონდა ზაქარას მეორე ვაჟი დათა, ცოტა სუსტი, მაგრამ მეტად ლამაზის სახისა, ყველას მოყვარული და საყვარელი. მოაგონდა, როგორ ერთს ცივს ზამთრის ღამეში დარაჯად დაუყენეს იგი რკინის გზის ლიანდაგს, რადგანაც ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა წინა ღამით მათ სოფლის ახლო ლიანდაგი წაახდინა, რამაც მატარებლის დაზარალება გამოიწვია. მიადგნენ სოფელს და მუდამ ღამ ორ-ორს დარაჯს უყენებდნენ რკინის გზას; ან გაიგეთ ვინ იყო, ან არა და, თქვენ იქმნებოდითო. იმ ღამეს, როდესაც დათა სდარაჯობდა, დიდი ქარ-ბუქი იყო; გაცივდა დათა, მოუვიდა ფილტვების ანთება და ერთს კვირაზედ გამოესალმა წუთი-სოფელს.

— ეჰ! ამოიოხრა ზაქარამ, კაცის ცხოვრება შემთხვევისაგან ყოფილა დამოკიდებული! რავდენჯერ უფრო დიდს ქარიშხალში ყოფილა დათა ტყეში, ან გზაში და კი არ გაციებულა. ან რაღა სწორედ იმ ღამეს მოუნდა იმ ტიალ ქარიშხალს ამოვარდნა, როდესაც იმ ღამის წინ და შემდეგ კარგი დარები იყო. ყოველივე შემთხვევა და იღბალი ყოფილა, დაასკვნა ზაქარამ ამოოხვრით.

ამდენს უბედურებას ვეღარ გაუძლო ზაქარას საყვარელმა მეუღლემ და ისიც გაჰყვა უკან თავისს სანატრელსა და სასიქადულო ორს ვაჟს. დარჩა ზაქარას მხოლოდ ერთი შვილის-შვილი გიგლა, რომლის დედა ზაქარას ქალიშვილი, მუცელს გადაჰყვა გიგლას შობის დროს. გიგლა-ღა იყო უკანასკნელი იმედი ზაქარასი. მხოლოდ გიგლასაგან მოელოდა იგი, რომ ზაქარას სახელი არ აღიგვებოდა დედა მიწის ზურგიდგან; რომ მისი შთამამავლობა გაგრძელდებოდა; იგი ერთად ერთი სულიერი-ღა იყო მთელის მისის ნაშენობიდგან. მზე და მთვარე იმაზედ ამოსდიოდა. იგი აღარავის დაანება, მიჰყიდ-მოჰყიდა, რაც-კი განადგურებულს ოთახში მოიპოვებოდა, აილო ვალი, დაუქირა ძიძა და გიგლა, როგორც იყო, გაზარდა. აგერ ის ეხლა ოთხის წლისაა, ფეხზედ დარბის, ტიტინებს და ზაქარას სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ამ მოგონებაზედ მან გადახედა გიგლას, რომელიც ბალახებში რაღასაც ფათურობდა და... გაქრა მისს სახეზედ ტანჯვის გამომეტყველება. მოღრუბლული სახე გაიშალა, მხიარულად გამოიხედა, თვალებში სიამოვნების ცეცხლმა გაურბინა...

ზაქარა არა დარდობდა, რომ გიგლაზედ გადაავლო თავისი საცხოვრებელი; რომ ყველაფერი, რაც თვითონ დარჩა გაუყიდავი; ვალებში გაუყიდეს. რახან გიგლა ხოჭიჭში არ ჩაკვდა და გაიზარდა, ხსვა არაფერი საანგარიშო არ არის. მაინც მთლად უნუგეშოდ არ არის გიგლა დატოვებული. აი ეს ვენახი, რომელშიაც ეხლა დადის, გიგლას სამკვიდროდ აქვს გადადებული. თუმცა ეს ვენახი ერთად ერთი მომავალი ქონებაა გიგლასი, მაგრამ სულ არარაობას, რასაკვირველია, ეს ქონება სჯობია. მაგრამ.... აი სწორედ აქ არის უბედურება! აქ არის ის ცეცხლი, რომელიც ზაქარასა სწვავს.

აგერ ერთი თვეა, რაც მან სოფელში მივიდა მიწის გამმიჯნავი, რომელმაც უნდა გაარჩიოს სახელმწიფო მამული კერძო მესაკუთრეთა მამულებისაგან და ამ უკანასკნელთაც თავთავისი ცალ-ცალკე დაუყოს. დანამდვილებით არ ვიცი დებულებანი ამ საგნის შესახებ, მხოლოდ ეს მიწის-მმიჯნავი კი შემდეგის წესით ჰხელმძღვანელობდა: რომელისამე მამულის გამიჯვნის დროს საკმაო იყო გეთქვათ — ჩემიაო, და საბუთად ის წაგეყენებინათ, რომ აქ ერთხელ პაპა ჩემს ცხენი უძოვებიაო, ან სხვა რამ ამ გვარი, და, თუ საკუთრებად არ დაგრჩებოდათ, პოდაველ მაინც ჩაირიცხებოდით და შეიძლება დავაში მოგეგოთ. რაიმე შემთხვევით პატრონს რომ ცოტა დაჰგვიანებოდა მოსვლა, შემდეგ რა საბუთიც უნდა წამოეყენებინა, ვეღარ დაიბრუნებდა მამულს. „სხვაზედ დაიწერა და ვეღარ ამოიშლებაო“. თავად-აზნაურობას ხომ ნება ჰქონდა, სადაც მოინდომებდა, თავისი დეერქმია — მთელი მიდამო ჩვენის გვარისა ყოფილაო.

ბასილ

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ.

ეს კრება (რიცხვით მესამე) დაიწყო 26 ივლისს და დღესაც ჰლაპარაკობს. ძლიანა ჰგავს იგი ბანკობის. ჯერ ერთი,—ისიც ქუთაისის თეატრშია დაბინადრებული; მეორე—ამ კრებასაც, როგორც ბანკობის, ქუთაისის ნაზნი არსებანი მარაოებითურთ ამკობენ და ამშვენებენ, ისმენენ, როგორ ეცილებიან ერთმანერთს მამაკაცები შავს ქვასა; მესამე—აქაც კრება ორ დასად არის განაწილებული: შავის ქვის მწარმოებელთა აწინდელ საბჭოს მომხრეებადა და მის მოწინააღმდეგებად; მეოთხე... მეოთხე—აქაც ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც უზომ-უკვლოდ ჰფქვავენ ფშაურ წისქვილსავით და აცდენენ კრებას საქმისაგან უსაქმო ლაპარაკით, მეხუთე... მაგრამ კმარა.

როგორც მოგახსენეთ, პირველი კრება მოხდა 26 ივლისს, უკანასკნელი კრება, რომლის ანგარიშიც-კი გაზეთებშია გამოქვეყნებული, 3 აგვისტოს ყოფილა. პირველს კრებაზედ კრების მდივნად ამორჩეულ იქმნა, მკითხველო, ჩემი და თქვენს ნაცნობი, „ქუთაისის ლილის სურვილის მქონე პატარა წრის“ წარმომადგენელი ბ-ნი პ. რ. სურგულაძე, ფრიად „მძიმე“ წევრი მესამე დასისა და აწ შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს მოწინააღმდეგე; იქვე ჰბრძანდება ჩემი და თქვენი ნაცნობივე, ჭიათურელი დევ-გმირი კარპე მოდებაძე, განსწავლული მეთაური „აბანოს კარებთან გაწვრთნილთა შვიდთა ჭიათურელთა პროტესტანტთა“, ფრიად დახელოვნებული შემდგენელი წერილებისა „კვალის“ რედაქციის მიმართ“, იგივე მესამე დასელი და, მაშასადამე, ბ-ნ პ. რ. სურგულაძესთან ერთ ჭკუა-გონებად მოფიქრ-მოაზრე.

იქვე ჰბრძანდება ჩემი და, იქნება, თქვენიც უცნობი ბ-ნი ს. ქვარიანი...

— ერიჰაო, გამაწყვეტინებს მკითხველი: შავის ქვის მწარმოებელთა კრებაზედ 300-მდე კაცი „ჰბრძანდება“ და შენ რომ აგრე თითოეულად ჩამოჰყვე, სად წავაო?..

— მოითმინეთ, ჩემო ბატონო, ნუ აჩქარდებით, ვინაიდგან „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“. ყველასთან რა საქმე მაქვს, რომ თითოეულად ვთვალო, მე ჩემის „სახელდახელოს“ გმირებს ვეძებ და ისინი-კი, ვინც ჩემს „სახელდახელოს“ ოდესმე არ ემსახურა მკითხველთა სალაღობოდა და სართველად, ისინი ჩემის მხრივ ყურადღების ღირსნიც არ არიან...

— მაშ ბ-ნი ქვარიანი...

— დიაღ, მანდ მოვდივარ. ბ-ნი ქვარიანი თუმცა აქამომდე ჩემის „სახელდახელოს“ დევ-გმირი არა ყოფილა, მაგრამ 2 დ 3 აგვისტოს კრებაზედ *) მან ისე ისახელა თავი, რომ სრული გონებრივი და მრავალ სხვაბრივი უფლება მოიპოვა ასეთ დევ-გმირად შექმნისა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზემოდ ჩამოთვლილს ორ არსებას ერთი აკლდა, რომ იგი სანეტარო, ხელის-ხელ საგოგმანებელ სამებად გარდაქმნილიყო, რომელშიაც მთავარი ადგილი, რასაკვირველია, ბ-ნს ქვარიანს უნდა დაეთმოს; მეორე—იგიც ჭიათურის შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს მოწინააღმდეგეა, და მერე როგორი მოწინააღმდეგე, სულ ბდღვირს... იდენ; მესამე—2 აგვისტოს კრების ანგარიშმა დამარწმუნა, რომ ეს ბ-ნი ქვარიანი გვარიანი ქარიანი ყოფილა, და მეც ხომ ამისთანებს ვეძებ ჩემის „სახელდახელოსათვის“...

მაშ დავახასიათოთ ამ ახალის სამების ეს უახლესი ერთ-არსება:

ბ-ნი ს. გვარიანი, ვითარცა მისი მემარჯვენე ბ-ნი „მძიმე“ სურგულაძე და მემარცხენე „სუბუქი“ მოდებაძე, ვითომ წვრილმან მწარმოებლებს ემხრობა და ამიტომ წინააღმდეგია საბჭოსი, იმ საბჭოსი, რომელიც საერთოდ წვრილმან და სხვილმან მწარმოებელთაგან არის ამორჩეული და იმავე წვრილმან მწარმოებელთა სიკეთესა და კეთილდღეობას არის მოწადინებული. გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა. საბჭო იცავს მწარმოებელთა ინტერესს საერთოდ და წვრილმანებისასაც, მათ შორის, ბ-ნნი ქვარიანი, მოდებაძე და სურგულაძე და მისთანანი ემხრობიან „ვითომ“ წვრილ მწარმოებლებს და ეწინააღმდეგებიან საბჭოს —ამ წვრილ მწარმოებელთა ჭეშმარიტს მომხრესა და ქომაგს.

— არ მესმის, მაშ როგორ-ღა ემხრობიანო? იკითხავს მკითხველი.

— აკი მოგახსენეთ, „ვითომ“ ემხრობიან, ნამდვილად კი, ჩვეულებურ, მესამე დასებურ, უვიც და მოკლედმხედველ წვრილ მწარმოებლების წყაროს ამღვრევენ შიგ ჭიჭყინების დასაჭერად, სცდილობენ ამ ქვეყნის სასიკეთო საქმეშიაც „ნგრევა, რყევა და რღვევა“ შეიტანონ და ქვეყანას კიდევ ერთხელ დაანახვონ მესამე დასელთა სახელო უსახელობა.

ჰო, ბ-ნი ქვარიანი „კლიტიკოსი“ გახლავთ და მთელის კრების ყურადღებაც მიიქცია თავისის „კლიტიკით“. იგი ჰქუხს და ჰგრგვინავს საბჭოს წინაღმდეგ, უსაყვედურებს საბჭოს, უჩხრეკავს და უწყავ-უზომავს მოქმედებას, სცდილობს ვითომ-და წვრილმან მწარმოებლებს „ბუზი გაუქშიოს“, და უქშევს კიდეც, სწორედ ისე, როგორც კრილოვის ერთს იგავ-არაკში დათვმა თავისს მეგობარს „გაუქშია ბუზი“.

ბ-ნ ქვარიანის „კლიტიკის“ დასასურათებლად აი ერთი ადგილი თვით 2 აგვისტოს ანგარიშიდგან:

ქვარიანი. საბჭოს არა გაუკეთებია-რა.

ზდანოვიჩი. უნიადაგო, საზოგადო კრიტიკა, საბუთების დაუსახელებლად,—მხოლოდ ვნებათა ღელვას აღძრავს.

ქვარიანი. პატიოსან კაცის სიტყვას გაძლევთ, რომ საბუთებს არ გადავცდები და მხოლოდ იმათ დავემყარები. საბჭო უსაქმურობდა, საბჭოს უუნარიანობის წყალობით...

მ. ი. ჩენგერი (კრების თავმჯდომარე). კრიტიკა, რომელიც მხოლოდ საზოგადო სიტყვებით კმაყოფილდება, საქმეს ვერავითარს სარგებლობას ვერ მოუტანს.

სოლოვიოვი. აგეთი კრიტიკა სულ უბრალო კრიტიკასაც ვერ გაუძლებს.

ქვარიანი. საზოგადოდ გამოუცდელობით, უგერგილობით, მცონარებით ჰბრწყინავს რწმუნებულთა მოქმედება.

გ. გ. ემერიკი. კრიტიკა ობიექტიური უნდა იყოს, საბუთებზედ დამყარებული; ისეთი კრიტიკა-კი, რომელიც საზოგადო სიტყვებით კმაყოფილდება, მხოლოდ თავის უვარგისობას გვაჩვენებს (ტაშის ცემაა).

ბ. ქლენტი. უხერხული და უადგილო ახირება ბ-ნ ქვარიანისა მხოლოდ უბრალოდ გვაცდენს (ტაშის ცემაა).

ბ. ი. ჩენგერი (თავმჯდომარე). ვინც ბ ნ ქვარიანის, საბჭოს მოქმედების გამკიცხველს, აზრს ემხრობა, ვთხოვ ფეხზედ წამოდგეს.

ყველანი... ისხდნენ. წამოდგა მხოლოდ... ბ ნი ს. ქვარიანი.

მოდით და ნუ იტყვით, რომ ქვარიანი მართლაც გვარიანი ქარიანი ყოფილა! ქარიანი რომ არა ყოფილიყო, ისე „სუბუქად“ არ ავარდებოდა ფეხზედ, როდესაც იმისს წინადადებას უყრიდნენ კენჭს. მაგრამ მეც ახირებული ვარ, ისიც რომ არ წამომდგარიყო, ვიღა მიემხრობოდა ამ წინადადებას?!. მაშასადამე, აქ შევდგეთ, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ქვარიანის წინადადება მოიწონა... მარტო თვით ქვარიანმა და სხვამ არავინ. გამარჯვებაც ასეთი უნდა!..

ეხლა ვკითხოთ: რაზედ აცდენდა ამდენს ხანს ბ-ნი ქვარიანი კრებას შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს მოქმედების „კლიტიკით“, თუ თავისს აზრს ქვარიანის მეტს სხვა მომხრეს ვერავის მოუპოვებდა?!.

რაღა საკვირველია, რომ ამისთანა აზრთა კამათსა და კრების მიერ ზოგიერთ ვაჟბატონთა წყალობით წყლის ნაყვას ისეთი სცენები მოჰყოლოდა, რაც 3 აგვისტოს მომხდარა, იმავე „Тиф. Лист.“-ს კორესპონდენტის სიტყვით:

ასტყდა საშინელი ხმაურობა, სწერს იგი: ყოვლად შეუძლებელია გაგება, რაზედ თათბირობენ საბჭოს წევრნი. მღელვარება თანდათან ჰმატულობს. გაისმის ცალკე სიტყვები: „არ გესმით!.. როგორა ჰბედავთ!.., ნება არა გაქვთ!.. მე თქვენ!..“ დაიწყო ერთი ზედა-ხორა. ვიღაც ეძგერა ქვარიანს მუშტებით, იმასაც მიეშველნენ და... აირია მონასტერი. ბ-ნი ცეიტლინი მამაცად ჩავარდა მოკრივეთა შუაში და ცოტაოდნად დაამყარა წესი, მაგრამ არა ხანგრძლივ. ხმაურობა და ყვირილი ჰმატულობს.

თავმჯდ. კრებისა (ზარს დაუწყნარებლად აწკარუნებს). ასე კრების განგრძობა შეუძლებელია. გთხოვთ დაიშალნეთ, ბ-ნებო.

ხმაურობა ჰმატულობს. ბ-ნი პრინცი ჰყვირის ზემოდგან: წყნარად! ბ-ნო კანდელაკო, გთხოვთ, გარედ გაბრძანდით, თორემ გუბერნატორს დავიბარებ. ვიღამაც პოლიცია დაიბარა. მოვიდა პოლიცმეისტერი, მისი თანაშემწე და რამდენიმე პოლიციელი. დამშვიდდნენ.

კრების თავჯ. ბ-ნო ქვარიანო, ბ-ნმა ბაქრაძემ, რომლის რწმუნებულიცა ხართ, თავისი ხმა სხვას გადასცა, თქვენ ხმის უფლება აღარა გაქვთ და აქ დასწრება არ შეგიძლიანთ.

ქვარიანი (მიდის თავჯდომარის სტოლთან). მე მაგას ადრევე მოველოდი, ბ-ნო თავმჯდომარევ, და აი, ახალი რწმუნების წერილი...

როგორი სურათია, მკითხველო?.. თვით გამოჩენილს კალისტრატე ჩიკვაიძესაც არ უჩვენებია ასეთი სცენები ქუთათურებისათვის! თურმე ნუ იტყვით, ყველა ეს ქვარიან-მოდებაძ-სურგულაძენი ნათხოვარის რწმუნების წერილებით არიან აღჭურვილნი და ამიტომ იჩენენ ასეთ უცნაურ გულის ტკივილს ჭიათურის წვრილმან მწარმოებლებისათვის, თორემ ჭიათურაში არც ერთს, არც მეორესა და არც მესამეს კატის კნუტიც-კი არ უკნავით, შავს ქვასა-კი აბა ამათ ვინ აღირსებს!..

აი, ეს ვაჟბატონები ბრძანდებიან ჩვენის დროის ახალი მამლები, რომელნიც მამლისებურ ყვილით სცდილობენ სოფლის აშენებას, უწესოებით უნდათ ქვეყანა ვითომდა პროგრესიულ გზაზედ დააყენონ და ჰსურთ შეჰქმნან ერთი უშველებელი და დაუსრულებელი „რხევა, რყევა, რღვევა, ნგრევა, მტვრევა, მსხვრევა“ და ამ ნარხევთა, ნარყევთა, ნარღვევთა, ნანგრევთა, ნამტვრევთა და ნამსხვრევთა ერთობილი შეტაკება და შეხეთქება!..

ჩიორა

*) ვსარგებლობ „Тиф. листокъ“-ის ანგარიშით, იხ. № 189 და 190.

---

# უცხოეთი

ჩინეთი. მოკავშირეთა ჯარი შევე შესულა პეკინში, მაგრამ ეს შესვლა ადვილად არ დასჯდომია. როგორც გაზეთები გინტა-გუნტად გადმოგვცემენ, ჩინელებს ყველგან დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ და შესამჩნევი ზარალი მიუყენებიათ მოკავშირეთათვის. სამწუხაროდ, როგორც მკითხველებიც შეამჩნევდნენ, დეპეშები დაწვრილებით ცნობებს არ გადმოგვცემენ, ნათქვამია იქ მხოლოდ, რომ აქა და იქ მოხდა ბრძოლა და ჩინელები განდევნილ იქმნენო. ნამდვილად კი ამ განდევნამდე დიდი სისხლი დაღვრილა და დიდი ზარალი მოსვლია როგორც ერთ მხარეს, ისე მეორეს. ტიან-ძინიდგან მოკავშირეთა 30,000 ჯარის-კაცამდე გავიდა; არც ის ვიცით, ამ ჯარს რამდენი მოაკლდა, ვიდრე პეკინს მიაღწევდა. ამას გარდა დეპეშების მკითხველი უეჭველად იფიქრებს, რომ მოკავშირეთა ჯართან ბრძოლაში ჩინელებს დიდ-ძალი ჯარი ჰყავდათო. ნამდვილად-კი არც ერთს ბრძოლაში, როგორც ეხლა გაზეთებიდგანვე სჩანს, ჩინელებს 20,000 კაცზედ მეტი არა ჰყოლიათ. მაუხედავად ასეთის სიმცირისა, ყველგან ჩინელები მედგრად იბრძოდნენ და ყველგან სამხედრო საქმის ცოდნასა და უნარს იჩენდნენ. ჩინეთის ჯარის სიმცირე აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ამ ბრძოლაში უზარმაზარ ჩინეთის მარტო ორი-სამი პროვინცია იღებს მონაწილეობას. დანარჩენ პროვინციებს პეკინისათვის არც ჯარი მიუშველებიათ, არც ზარბაზნები და არც სხვაფრივ გაუწევიათ დახმარება. სხვა პროვინციების, განსაკუთრებით სამხრეთ პროვინციების, ვიცე-კოროლებმა ჯარი მართალია შეაქუხეს, მაგრამ პეკინში არ გაჰგზავნეს და ად გილობრივვე დაახანგეს იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ევროპიელნი იქაც შეესევოდნენ. ყველა ამას გარდა თვით პეკინსა და იმის გარეშემო მყოფ ჩინეთის ჯარს შორის ერთობა არა ჰსუფევდა: ერთი ნაწილი, პრინცის ჩინის მეთაურობით, ევროპიელთა მომხრე იყო, მეორე ნაწილი კიდევ, პრინცის ტუანის მეთაურობით, მოწინააღმდეგე. მხოლოდ იმ მოწინააღმდეგეთ მოუხდათ ბრძოლა ევროპიელებთან, ისიც ჩინის ჯართან ბრძოლით მოღლილთა და მოქანცულთ. ამ რიგად დიდად შემცდარი იქმნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ამ ბრძოლაში მთელი ჩინეთის ჯარი იღებს მონაწილეობასაო. მონაწილეობას ძალიან მცირე ნაწილი იღებს. ყველა ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რათა მარცხდებიან ესე ადვილად ჩინელები.

— უცნაურს ამბავს გადმოგვცემს გაზეთი „Daily News“-ი. იმის წყალობით,—სწერს ეს გაზეთი,—რომ ჩინეთში მყოფ სხვა და სხვა სახელმწიფოს ჯარი ერთმანეთს კარგ სცნობს კარგად, ხშირად ერთი მეორეს სროლას დაუწყებს ხოლმე, ჰგონიათ მტერიაო. ამას წინად, მაგალითად, იაპონელებს რუსებისათვის დაუშენიათ ტყვიები; ერთხელ კიდევ რუსებსა და ინგლისელებს უომნიათ ამერიკელებისათვის დაუშენიათ.

— იტალიის მინისტრ-პრეზიდენტს დეპეშა მიუღია პეკინში მყოფ იტალიის ელჩის სადგურიდგან რაჯისაგან. ამ დეპეშაში რაჯი სამმართ აცხადებს მეფე ჰუმბერტოს სიკვდილის გამო და ამბობს, მეფე ჰუმბერტოს სიკვდილის ამბავი მუნკლიამენმა გადმომცაო.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად ევროპაში ხალხს აჩვენებენ ოთხ ადამიანს. ორი ამათგანი—ქალი და კაცი—მაღლები არიან, ორიც—ქონდრის კაცები. ყველაზედ მაღალი ოსვალდ ბალლინგია, ბავარელი; სიმაღლით ეს კაცი 3 არშინი და ერთი ვერშოკია. ქალი, ბალლინგის დანიშნული, ჩინელია, ტონკინიდგან არის და სახელად ხი-სინი ჰქვიან. ხი-სინი სიმაღლით 2 არშინი და 12 ვერშოკია. ამ ჟამად ხი-სინი 20 წლის ქალია. ამ ორ მაღალთან ერთად ორი ქონდრის კაცი გამოჰყავთ საჩვენებლად: ოლე ოლსენი და ვილი ვენდტი. ოლე ნორვეგიელია, კარგ ოჯახს ეკუთვნის და სიმაღლით სულ 1 არშინი და $5\frac{1}{2}$ ვერშოკია; ოლე 50 წლისაა ამ ჟამად. მეორე ქონდრის კაცი, ვენდტი, ოლეზედ უფრო დაბალია—1 არშინი და 3 ვერშოკია.

* * *

სამხრეთ აფრიკაში ბევრგან ოჯახში ცხენის მაგიერობას სირაქლემა უწევს: ზედა სხდებიან, ბარგი დააქვთ და სხვა. სირაქლემის გაშინაურება ძალიან ადვილია თურმე. სირაქლემა განსაკუთრებით იქ არის თურმე გამოსადეგი, სადაც სიჩქარეა საჭირო; რამდენსამე საათში მთელის დღის სავალს გაივლის. ამას გარდა დოღში ვერა ცხენი ვერ გაუსწრობს. უჩვევ კაცს სული შეეხუთება თურმე, ისე ჩქარა გარბის სირაქლემა.

* * *

ერთ ამერიკელს, გვარად ბუალს, გამოუგონია ახალი შლიაპა, რომელიც თავის-თავად იხდება თურმე. ზოგს ძალიან ბევრი ნაცნობი ჰყავს და ქუჩაში ისე არ გადადგავს ფეხს, რომ ქუდის მოხდა არ დასჭირდეს; ბუალს აი სწორედ ამათთვის გამოუგონია შლიაპა. შიგნით ეს შლიაპა საათის მექანიზმს შეიცავს, რომელიც ყოველთვის, როდესაც შლიაპას დაიხურავს კაცი, უნდა მოიმართოს. ამასთან ისეა მოწყობილი, რომ ოდნავ თავის დახრის მეტი არაფერი უნდა: შლიაპა თავის თავად აიწევს და შემდეგ ისევ დაეშვება თავზედ. თუ მეორედ დაუკრავს თავს, მეორედაც ასევე იზამს.

* * *

რა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ხისაგან ქაღალდის კეთება დაიწყეს, და ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბალახისაგანაც შესდგომიან ქაღალდის კეთებას. ამისათვის ყოველნაირი ბალახი გამოდგება, მხოლოდ საჭიროა, ყვავილობამდე მოიკრიბოს ხოლმე. ბალახს ჯერ წყალში ავლებენ, შემდეგ ცხელ სოდაში ჰხარშავენ, მერე ხელახლად ავლებენ წყალში და ბოლოს კასრებში აწყობენ. ერთ კილოგრამა უბრალო ბალახისაგან $\frac{1}{2}$ კილოგრამმა ქაღალდი მზადდება, ასე რომ ქაღალდის მომზადება ბალახისაგან ბევრად უფრო სარფაა თურმე. გაზეთების სიტყვით, ამ ახალის გამოგონების წყალობით ჯერ ერთი ხის ქაღალდი სრულიად განიდევნება, მეორე კიდევ ქაღალდი საზოგადოდ ძალიან გაიაფდება.

* * *

ერთს იტალიელს თვალის ექიმს, ტეიროს გამოუგონია ისეთი სათვალეები, რომლითაც, როგორც „il Giorno“ გადმოგვცემს, სრულიად ბნელ ოთახშიაც ადვილად შეიძლება თურმე წვრილის ნაწერის წაკითხვა; საზოგადოდ ამ სათვალეების შემწეობით ღამე ისევე ჰხედავს კაცი, როგორც დღისით. გამომგონი ჯერ არ ამხელს და საიდუმლოდ ინახავს—რისაგან და როგორ არის გაკეთებული სათვალეები. ერთ ფრანგულ საზოგადოებას ტეიროსაგან უკვე უყიდნია ასეთის სათვალეების გაკეთებისა და გაყიდვის უფლება ერთ მილიონ ფრანკად.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოა)

ნუსხური ხელნაწერი ეტრატზე № 26 (in quarte, გაბად. 536) არის სახარება ლარგვისის მონასტრისა.

მრავალის და დაუჭკნობელის ფერადებით თავლებზედ გამოყვანილია სახლის

თხემი, ჩუქურთმიანი. სულ რვა თხემია, თხემის სვეტებს გადახლართვია სხვადასხვა დაგრაგნილი, ანუ ახლად გადაფურჩვნილი ყვავილები; თხემის თავს გამოსახულია სხვა და სხვა ფრინველები, ერთურთისაკენ პირმიქცეულნი. თხემის ლავგარდანებს, ორივე მხრიდგან, დაკიდული აქვს საცეცხლურები, ანუ არშიები; ლავგარდანების ზემო მიიმართება მანდლები (თუმცა არა ყველგან) თხემში ჩაქსოვილი გრეხილები, რგოლები, ვარსკვლავები და სხ. ყველგან ერთნაირი სახის არ არის. სვეტებ შორის ჩაწერილია განონები სახარებისა. (გვ. 2—15). თვით სახარებათა, დასაწყისშია გამოხატულია შვენიერი არშიები.

წიგნშივე არის ექვსი ნახატი: ა) გაბრიელი ახარებს ქალწულს (გვ. 23), ბ) ქრისტეს შობა და მწყემსების მიერ თაყვანისცემა (გვ. 24), გ) წმ. მარკოზ (გვ. 154), დ) წმ. ლუკა (გვ. 246), ე) ქრისტეს შესვლა იერუსალიმს (382) და ვ) ქრისტე 12-ის მოწაფით (გვ. 383).

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია გამოხატული ხარება: სვეტებზე დამყარებულია ეკლესიის მსგავსი შენობა, რომლის ზე აღიმართება მაღალი გუმბათი ჯვრით. დაბლა სვეტებ შუა ტახტ-სკამია. სკამზედ მუთაქა. მუთაქაზე ზის სხივოსანი ქალწული და თითისტარზე ართავს მატყლს. ქალწულის მარჯვნივ გამოხატულია მთავარ-ანგელოზი, რომელიც აცხადებს გარდაქმნის ამბავს.

ეს ნახატი დიდად ჰქონიათ, უეჭველია, ჩვენს მხატვრებს, რომელთაც ზოგიერთს ტაძრებში ღვთისმშობელი თითის-ტარით გამოუხატავთ (იხ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი).

წიგნი ფრიად დაზიანებულია ჟამთა-ვითარებისა გამო. ერთი წარწერა ამის შესახებ გვამცნებს (გვ. 3).

წმიდა ესე სახარებანი ჟამთა ვითარებისაგან თავს შეეჭამა და უხმარ იყო, რადგან ამდენი წარიხოცა, ფუჭდებოდა, ვიგულსმოდგინე და განვაახლებინე მე, წინამძღვარმა გერმანემ სულისა ჩემისა მეოხად. ვინც წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ. თქუენცა შეგინდვნეს ღ~ნ. ა~ნ.

სხვა წარწერანი:

(გვ. 20): ოჳფალო ღმერთო, მეოხ ექმენ ალმელიქს და დოფსა და მათთა ძეთა, გიორგის და დუნასა.

(გვ. 21):... თით და შეწევნით მ~ღთ მამის ძისით და სულის წმიდისით: ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით მე, შერმადინს მა ირემამ და ძმამ ჩემამ ელიზაბარ თქუენ ბატონს წინამძღვარს გაბრიელას: მოგყიდე მიწა წალაკოტაში თქვენსავე მიწასთანვე. ავიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდა. ქონდეს და გიბედნიეროღმერთმა ამიერის უკუნისამდინ. არ ჩვენ და არ ჩვენის სახლის მომდევარი არ გეცილებოდეს. არის ამისი შემარიგებელი და გარდამცწყვეტელი თავათ ღ ა მ ე რ თ ი, კაცთაგან დორეული ბასილი, ბერიძე ბასილი, ქურული სვიმონ, ოთარ ზარიძე... მონასტრელნი, ვინაც რამაც კაცამ ეს ნასყიდობა მოგიშალოს, მასამც რისხავს ღმერთი და ეს... წმინდა თევდორე. მე ვახუშტის დამიწერია... ამისი. დაიწერა ესე წიგანი მარტს.. ქ~მან ღ~ნ ან.

ქ: ნებით და შეწევნით მღთის მამის და მის ძით და სულის წმინდით. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, შერმადინამ ბასილამ, შვილმა ქიტიამ, მომავალმა სახლისამ ჩვენისამ თქუენ, ბატონას წინამძღვარას გაბრიელას: მოგყიდე მიწა იქვე წალაკოტში, ავიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდეს. ქონდეს და გიბედნიეროს ღამერთმა. ყოვლის კაცის უცვალებელი არის. ამისი გარდამწყვეტელი და შემრიგე ქურული ოთარ, ჭოჭალი დათუნ, ს... მონასტრელნი. ამისი მოწამე. ვინ და რამაც კაცამ, ან დიდამ ან მცირემ,.. მოშალოს თავათ რისხავს... და მე ვახუშტის დამიწერია *)...

(გვ. 147, გადამწერის ხელით): წმიდანო ოთხნო მახარებელნო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, შეიწყალეთ სული ნიკოლოზისი.

(გვ. 150, მხედრულად): წმიდაო მოწამეო, შემწე ექმენ მონასა ღუთისასა არონს მღდელს, რომ მოიტანა ეს სახარება ქვეითმა ზურგით შორიდამ ქორონიკონს უპბ (1312+482=1794 წ.)

(გვ. 151, მხედრულით): ქ. სახელითა სახიერისათა. არსება დაუსაბამოსით... ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცედ. შეუცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი მე, ზარიძემა და შვილმან ჩემან, ბერმან და გოგიმან, და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ ბატონს ლარგვის წინამძღვარს გაბრიელსა, ასე, რომ~ნ დ~გვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მკვდარი და ყოვლის კაცისაგან მოუდევარი მინდორი იგოზურშიგა ოთხის დღისა. გქონდეს და გიბედნიეროს ღ~ნ, როგორათაც შენს გულს უნდოდეს. არის ამისი მოწამე ჯერ ღ~თი და ყოველივე მისი წმინდანი. შენ ძლიერო და ცხოველო წმინდავ თეოდორევ, შენთვის შემომიწირავს. ვინც შენ ეს გამოგწიროს დიდმან ანუ მცირემან, შენ რისხევდე მის სულსა და ხორცს. დაიწერა ხელითა მამუკა ფურცელაძისათა, ოკდონბერს ვ გასულსა, ქორონიკონს უვ (=1312+406=1718 წ.).

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) ეს წარწერა ფრიად დამახინჯებულის ენით სწერია: ღამერომა, წინამძღვარამ, კაცამ და სხ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აგვისტო.

**კაპშტადტი.** როგორც ამბობენ, დევეტი და დელარეი 6 აგვისტოს უცბად გამოჩნდნენ თურმე პრეტორიიდგან 20 მილის მანძილზედ და გეილბრონისაკენ წავიდნენ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

**იოკაგამა.** აქედგან წავიდა იაპონიის სამხედრო გემი, რათა შანხაიში ჯარი გადასხას იქ მცხოვრებელ იაპონელთა დასაცველად.

**შანხაი.** შენსიდგან ეხლა ხან მოსული მისიონერები ორს მიზეზს ასახელებენ, რომელმაც იძულებულ ჰყო ქვრივი იმპერატრიცა სამეფო კარი სინიანფუში არ გადაეტანაო: პირველი ის არის, რომ ამ ადგილში ხანგრძლივი გვალვა იცის და ამის გამო წყლის ნაკლებულობაა, რაც ხელს უშლის იქ სურსათის გადატანას და, მეორე, შენსიის მკვიდრთა უმეტესობა მაჰმადიანობაა, რომელნიც მტრულის თვალით უყურებენ ქვრივ იმპერატრიცას. სამხრეთით მყოფმა მანდარინებმა იმპერატრიცა გააფრთხილეს ამ მხრივ.

**ნიუ იორკი.** პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ რუსთა ჯარი პირველი მივიდა და დაიჭირა აღმოსავლეთის კარი ჯერ კიდევ 1 აგვისტოს დილით. იმავე დღის 2 საათზედ ბრიტანიისა და ამერიკის ჯარი შევარდა კარებში და მხოლოდ მცირე წინააღმდეგობა დახვდა წინ. იაპონელებს უფრო დიდის ბრძოლის გაწევა დასჭირდათ აღმოსავლეთის ზემო კარებთან, სადაც ჩინელები მთელს დღეს იგერებდნენ მტერს. შუაღამისას იაპონელებმა ააფეთქეს ქალაქის კარი და ისე შევიდნენ ქალაქში. ჩინელთაგანი ბევრია დახოცილი.

ელჩი კონჯერი იუწყება, რომ ჯარის პეკინში შემოსვლის ერთის დღის წინად ჩინელები სცდილობდნენ ამოეწყვიტათ ყველა ელჩები და სხვა უცხო-ქვეყნელნი, თუმცა პრინცმა ჩინმა სიტყვა მოგვცა, რომ ოფიცრებს ვუბრძანე მოესპოთ სროლა საელჩოების წინააღმდეგ და სიკვდილითაც დავემუქრე, თუ ჩემს ბრძანებას არ აასრულებენო, მაინც ელჩები დაიღუპებოდნენ, მისდა დასახსნელად წამოსულს ჯარს დროზედ რომ არ მოესწრო. კონჯერი იუწყება აგრეთვე, რომ უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობა თვით ჩინეთის მთავრობისაგან იყო გამოწვეული და მეამბოხენი-კი უბრალოდ ხელზედ დაიხვიეს, თორემ მეამბოხეთ ზარბაზნებიც-კი არა ჰქონდათო.

**ტოკიო.** ტიანძინიდგან იუწყებიან იაპონელთა მიერ ნათქვამს, რომ ვიდრე პეკინის კედელს დაიჭერდა ჯარი და ქალაქში შევიდოდა, 8—9 საათის განმავლობაში ზარბაზნების სროლა იყოო; ჩინელებმა უკან დაიწიეს და შევიდნენ ქალაქის საიმპერატორო ნაწილში. საკმაო ჯარი იქმნა გაგზავნილი ქალაქის ამ ნაწილის დასაჭერად, მაგრამ ჯარს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

9 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი გენერალ ადიუტანტის ვიცე-ადმირალის არსენიევის სახელზედ, რომელსაც 50 წელიწადი შეუსრულდა, რაც სამსახურშია; რესკრიპტით არსენიევს ადმირალობა ებოძა. ხელმწიფე იმპერატორა კეთილ-ინება ყაზანის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ალექსი ჩისტოპოლის საეპისკოპოსო კათედრაზედ იქმნას აყვანილი.

**შანხაი.** იმპერატრიცა გაიქცა და თავისი ქონება, 50 მილიონ ტაელამდე, სულ თან წაიღო; იმპერატრიცას იაპონიის ცხენოსანი ჯარი არტყია გარს. შანდუნის გუბერნატორი იუნშიკაი გარდაიცვალა.

**ტიან-ძინი.** როგორც ხმა დადის, 5,000 ჩინელი ჯარის-კაცი სუნლიუჩჟინიდგან პეიცზანს წასულა; დანარჩენი 5.000 ტუნდჟოუს მიდისო.

**ვაშინგტონი.** მთავრობამ დაადგინა ლიხუნჩანგს უარი გამოეცხადოს იმ თხოვნაზედ, რომ კონჯერს ან სხვა რომელსამე ამერიკელს მოხელეს ნება მიეცეს მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს; ეს უარის თქმა იმაზეა დამყარებული, რომ წინედ ჩინეთმა შეერთებულ შტატების მიერ წარდგენილი პირობები არ შეასრულა.

**ბუხარესტი.** რუმინიის მთავრობის მეორე ნოტაზედ, რომელიც მორიგების აზრით იყო შედგენილი, ბოლგარიის მთავრობამ ის პასუხი მისცა, რომ სოფიის ბრალმდებელს უკვე მინდობილი აქვს გამოძიება დაიწყოს იმ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, რომელთა მსხვერპლადაც სოფიაში მყოფი რუმინიის ქვეშევრდომნი გახდნენო.

**ლონდონი.** ადმირალი ბრიუსი იუწყება ტაკუდგან 8 აგვისტოს, ხმა დადის, რომ შეერთებული ჯარები 4 აგვისტოს უკვე შევიდნენ ეგრედ წოდებულს პეკინის წმიდა ადგილშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 8 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ...-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცელი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 207 | — „ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 85 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 98½ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 98 „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | 86½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 98 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 87 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | 315 | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 269 | — „ | — „ |

**სასამართლოს ცნობები.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

11 აგვისტო

საქმე გიორგი მდივანისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ჭანტურიძეებისა, რომელთაც ყალბის თამასუქების შედგენის ბრალი ედებათ.

საქმე შიმშოლა ტაბელაშვილისა, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

18 აგვისტო

საქმე ბიჭია ბესარიონის ძის ბაქრაძისა, რომელსაც გაძარცვა ჰბრალდება.

# განცხადებანი


გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **ქუვლავუთა ღალადებანი** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა** მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

**მკურნალი ვ. ვ. წერეთელი**

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელიზაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (ე)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

**ნასიძე**

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—15)

**ჩოხატაურში**

კობ ძის შენობაში

გავმართე

**უნაგირების ქარხანა**

ვაკეთებ საუცხოო უნაგირებს ქალებისა და კაცებისათვის: ინგლისურსა, ვენგრიულსა და რუსულსაც. იქვე კეთდება ყოველ გვარი ჩემოდნები.

საქონელი ისყიდება იაფად.

ოსტატი ისიდორე გოგოლაშვილი (3—152—2)

**ქუთაისის ჭაცივგცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.**

ჰურდულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—30)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონები, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მაწრაფულ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდლიანდისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—15)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე